




აპრილი, 2021 წ.

## ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა\*



### თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- მარტში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 4.0% შეადგინა
- აპრილში წლიური ინფლაცია 7.2%-ს გაუტოლდა
- აპრილში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 2.9%-ით, ხოლო ევროს მიმართ 3.1%-ით გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)

\*სტატისტიკური ინფორმაციის გამომყვანების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს




პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2021 წ.

# 1. რეალური და ფისკალური სექტორი

მარტში დადებითი ეკონომიკური ზრდა 4.0%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.


წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის მარტში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 4.0% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებული ტემპმა <sup>1</sup> 10.5% შეადგინა.




აპრილში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 7.2%-ს შეადგენს.

წინა წლის აპრილთან მიმართებით, 2021 წლის მარტში ინფლაციის დონე 7.2%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ.ენერჯიაზე და აირზე. 2021 წლის მარტში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 8.0% შეადგინა.



მარტში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2021 წლის მარტში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 4.9%-ით შემცირდა ხოლო ხარჯები 5.9%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო (მთავრობის დანაზოგები) 10.8 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 197 მლნ ლარით განისაზღვრა.




<sup>1</sup> წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის განლიურებულ მაჩვენებელს.

მარტში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს.

წინა წლის მარტთან მიმართებით, 2021 წლის მარტში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 12.3%-ით მოიმატა და 38.2 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 20.4%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 6.5%-ით გაიზარდა.

ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები




## 2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

იანვარ-მარტში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა საქონლის ექსპორტი, ხოლო იმპორტი შემცირდა.

წინა წლის იანვარ-მარტთან შედარებით, 2021 წლის იანვარ-მარტში ექსპორტი 5.2%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 2.4%-ით შემცირდა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის შემცირებით არის გამოწვეული. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.6%-ით განისაზღვრა. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა აშშ-ში (62%-ით), თურქეთში (40%-ით), და რუსეთში (20%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი ბულგარეთში (29%-ით), სომხეთში (19%-ით), აზერბაიჯანში (16%-ით) და ჩინეთში (16%-ით).


საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები იანვარი-მარტი



მარტში ფულადი გზავნილები გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის მარტში ფულადი გზავნილები 49.5%-ით გაიზარდა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.9%), რუსეთი (17.1%) და აშშ (12.8%) წარმოადგენენ. საანალიზო პერიოდში გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: რუსეთიდან (28%-ით), აშშ-დან (26%-ით), აზერბაიჯანიდან (23%-ით), გერმანიიდან (20%-ით) და უკრაინიდან (19%-ით).


ფულადი გზავნილები იანვარი-მარტი



2021 წლის აპრილში საერთაშორისო რეზერვებმა 4,136 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2021 წლის აპრილში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 4,136 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 19%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი - 0.9%-ით. 2021 წლის აპრილში ვალუტის გაუფასურების საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციებით 82.9 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა.

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები




### 3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასის ზრდის ტრენდი შენარჩუნდა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2021 წლის მარტში სარეზერვო ფულის მასა 7.3%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 21.4%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 23.6%-ს გაუტოლდა. მარტში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 7.2% შეადგინა.


ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები %-ლი ცვლილება



მარტში, წინა თვესთან შედარებით, გაიზარდა დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი, ხოლო სესხებზე უმნიშვნელოდ შემცირდა.


2021 წლის მარტში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.36%-ული პუნქტით გაიზარდა და 64.55%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.12%-ული პუნქტით შემცირდა და 55.36% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2021 წლის მარტში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 2.1%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა კი 3.7%-ით გაიზარდა.

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი




მარტში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.9%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.2%-ული პუნქტით შემცირდა.

2021 წლის მარტში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.2% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 5.6%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2021 წლის მარტის მდგომარეობით 6.6% შეადგინა, 2.4 %-ული პუნქტით მეტი წინა წლის მარტთან შედარებით.



აპრილში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გაუფასურების ტენდენციას ავლენს.


2021 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.9%-ით გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ - 3.1%-ით. ამავე პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2021 წლის აპრილში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 7.7%-ით, ევროს მიმართ კი 15.9%-ით გაუფასურდა.



## 4. რეგიონული მიმოხილვა

აპრილში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მართნადი დინამიკით ხასიათდება.


კერძოდ, 2021 წლის აპრილში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 17.1% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე რუსეთში (5.5%) და სომხეთში (6.2%). რაც შეეხება აზერბაიჯანს\*, 2021 წლის მარტის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასებმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3.9%-ით მოიმატა.



აპრილში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურების ტენდენციას ავლენს, თუმცა განსხვავებული მასშტაბით.

კერძოდ, 2021 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა თურქული ლირა (16.3%-ით), რუსული რუბლი (1.2%-ით), სომხური დრამი (7.2%-ით), ხოლო აზერბაიჯანული მანათი უმნიშვნელოდ გაუფასურდა (0.1%-ით).

გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება  
აპრილი, 2021



შემაჯამებელი ცხრილი<sup>2</sup>



ზრდა



კლება



ცვლილება < 1%

		მაისი 20	ივნ 20	ივლ 20	აგვ 20	სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20	დეკ 20	იანვ 21	თებ 21	მარტი 21	აპრილი 21
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი												
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი												
მონეტარული სექტორი	ინფლაცია												
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი												
	დეპოზიტების დოლარიზაცია												
	სესხების დოლარიზაცია												
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი												
	გზავნილები												
	ექსპორტი												
	იმპორტი												
	სავაჭრო ბალანსი												
	საერთაშორისო რეზერვები												
ფისკალური სექტორი	შემოსავლები												
	მიმდინარე ხარჯები												
	კაპიტალური ხარჯები												

\*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		მაისი 20	ივნ 20	ივლ 20	აგვ 20	სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20	დეკ 20	იანვ 21	თებ 21	მარტი 21	აპრილი 21
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი												
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი												
მონეტარული სექტორი	ინფლაცია												
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი												
	დეპოზიტების დოლარიზაცია												
	სესხების დოლარიზაცია												
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი												
	გზავნილები												
	ექსპორტი												
	იმპორტი												
	სავაჭრო ბალანსი												
	საერთაშორისო რეზერვები												
ფისკალური სექტორი	შემოსავლები												
	მიმდინარე ხარჯები												
	კაპიტალური ხარჯები												

\*\*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

<sup>2</sup> გაცვლითი კურსის ზრდა ნიშნავს გაუფასურებას, კლება გამყარებას.